ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18-74

"17" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის №16-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის №16-64 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 02/07/2015; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016177) და დადგენილებით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

2015 წლის ივლისიდან 2017-2018 სასწავლო წლის ჩათვლით წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის უპირატესობით ასევე სარგებლობენ ბავშვები 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან. აღნიშნული უპირატესობით სარგებლობისთვის აუცილებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის შუამდგომლობა."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი